



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 69
2021 წლის 17 მაისი
ქ. თბილისი

2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) გენერალური დირექტორის 2021 წლის 14 მაისის N62 ბრძანებით დამტკიცებული „2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები“-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N449420, 17.07.2020) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართ N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული

შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით საგნობრივი საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მათემატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა.ა) თენგიზ კოპალიანი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ა.ბ) პეტრე ბაბილუა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი - კომისიის წევრი;

ა.გ) შალვა ზვიადაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი - კომისიის წევრი;

ა.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

ბ) ბიოლოგიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ბ.ა) მათა გაიოზიშვილი - ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ.ბ) გიორგი ბურჯანაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი - კომისიის წევრი;

ბ.გ) ხათუნა ფარქოსაძე - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი - კომისიის წევრი

ბ.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

გ) ქიმიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

გ.ა) გია ხატისაშვილი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

გ.ბ) თამაზ ქარქუაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი - კომისიის წევრი;

გ.გ) ნათია ოჩხიკიძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი - კომისიის წევრი;

გ.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

დ) ინფორმატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

დ.ა) კობა გელაშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების მიმართულების პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

დ.ბ) კახაბერ თავზარაშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი - კომისიის წევრი;

დ.გ) სულხან სულხანიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

დ.დ) თამარ აზარიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

ე) ფიზიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ე.ა) ანდრია როგავა - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ე.ბ) თეიმურაზ კალატოზი - კომაროვის სახელობის 199-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი;

ე.გ) ალექსანდრე თევზაძე - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი;